

## განმარტებითი ბარათი

### „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობით.

##### ა.ბ) პროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონების ნორმათა სრულყოფა, ამავე კანონების სხვადასხვა ნორმებ ს შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრა.

##### ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის განსახორციელებელი ცვლილებით ხორციელდება სამართლებრივი ხარვეზების გასწორება და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებით ზუსტდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ხოლო ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ქ. თბილისის მერიის კომპეტენცია ნებართვის გაცემის სფეროში.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანხმად, ნებართვის გამცემი ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით და 26<sup>1</sup> და 26<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია მშენებლობის ნებართვის სტადიები და ხაზგასმულია, რომ მშენებლობის ნებართვა (სამივე სტადია) გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. აქედან

გამომდინარე, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შინაარსი წინააღმდეგობრივია, რის გამოსწორებასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი პროექტი.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტით არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში არ მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო, არასახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია: საქართველოს პარლამენტის წევრები: ლაშა თორდია, ანდრო ალავეიძე და ზვიად კუკავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები: ლაშა თორდია, ანდრო ალავეიძე და ზვიად კუკავა.